

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია შოშიაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	92	100

ლევან ნემსაძე

ლ. ნემსაძე

თარიღი

09.12.2024



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - მათა შოშიაშვილის

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა მათა შოშიაშვილი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15- მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი - 60 წლისაა. განათლება: უმაღლესი იურიდიული მაგისტრთან გათანაბრებული, თსუ 1988 წელი

ნასამართლობა: არა

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 34 წელი

მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 25 წელი

მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თარიღი: 1999 წლის 15 მაისი

სამუშაო სტაჟი:

- 1990 იანვარი - 1993 ნოემბერი, იურისკონსულტი - საწარმო გაერთიანება „აზოტი“ იურიდიული განყოფილება;
- 1994 მარტი - 1999 მაისი, ადვოკატი - საქართველოს ადვოკატთა კოლეგია.

მოსამართლე მუშაობის გამოცდილება: 25 წელი

- 1999-2009 წლებში იყო სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (1999-2004 წლებში იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარე), 2005-2008 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, ხოლო 2008-2009 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.
- 2009 წლის ოქტომბრიდან - დეკემბრამდე, იყო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში;
- 2009-2012 წლებში იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში, შემდგომ საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში;
- 2012-2018 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
- 2018-2020 წლებში იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
- 2020 წლიდან - დღემდე, არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის თავდაჭერილობას, კოლეგიალურობას კეთილსინდისიერებას, მის მაღალ კომპეტენციას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/მაღიან კარგად.

- კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი. კანდიდატის შესახებ იძებნება ინფორმაცია მის სამოსამართლეო საქმიანობასთან დაკავშირებით:
 - ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/502470-rustavis-sasamartlos-mosamartled-maia-shoshiashvili-dainishna/>
 - ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/112773-mosamartleta-shesarchevi-konkursis-meore-rurshi-gadasuli-34-kandidaridan-15-mosamartled-dainishna>
 - ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/194631-maka-asatians-mersedesis-carnomadgenlobis-kidev-20-ian-cils-stxoven>
 - ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/162886-pedagogta-propkavshiris-cinaagmdeg-sarchelze-ganmeorebiti-mosamzadebeli-sxdoma-chainishna>

- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/290044-sakalako-sasamartlom-gigi-ugulavas-brali-ar-daumzima>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/427683-guram-rcheulishvilis-shuamdgomlobaze-mosamartle-gadacqvetelebas-dges-gamoacxadebs>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/435604-sakalako-sasamartlos-rva-mosamartlem-mosamartleta-ertoba-datova>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/466951-gonioshi-zgvashi-dagupuli-jariskacis-oxaxistvis-tanxis-gamozalvis-sakmeze-gamartlebuli-piris-advokati-sasamartlos-gadacqvetelebas-obiakturad-miichnevs>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/485536-terorizmis-mxardacheris-sakme-sakalako-sasamartlos-sisxlis-samartlis-kolegias-arsbitad-gansaxilvelad-gadaeca>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/501393-giorgi-mikautaze-nebismier-sakitxshi-ragac-bneli-certilebi-vezebot-iusticiis-umaglesi-sabchos-diskreditacias-emsaxureba>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/567737-iusticiis-umaglesma-sabchom-37-mosamartle-tanamdebobaze-uvadod-gaamcesa-3-ki-tanamdebobidan-gaatavisupla>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/584730-prokuratura-ec-tbilisis-ganvitarebis-pondis-sakmeze-gancxadebas-avrcelebs>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/629859-iusticiis-umaglesma-sabchom-36-mosamartle-danishna>
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/797553-sasamartlom-14-clis-aitaj-shaxmarovas-ganzrax-mkvlelobis-sakmeze-gogonas-dedas-3-clit-bizas-ki-36-clit-patimroba-sheuparda>
- ✓ <https://www.ghn.ge/news/178968-quottsentr-pointisquot-sakmis-gankhivila-rcheulishvilis-gamoutskhadblobis-gamo-gadaido>
- ✓ <https://www.ambebi.ge/article/317786-otxmag-mkvlelobashi-damnashavis-uprecedento-ganacheni/>

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი.

კანდიდატის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება: ბინა 64,06კვ.მ ქ. რუსთავი

უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაცია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%;
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%;
- საანგარიშო პერიოდში (993 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 3854 საქმე, დღეში საშუალოდ 3,9 საქმე;
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 95,6%, შეცვლილი 4,4%.

კანდიდატის მიერ განხილული 5 საქმე:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 თებერვლის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-672-21;
2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 ივნისის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-517-21;
3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-21-22;
4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-459-21;
5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-565-21.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:

- 2022 წლის 29 აპრილი - 1 მაისი, ბორჯომი, სემინარი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“
- 2022 წლის 16-17 ივლისი, ბორჯომი, საპილოტე სემინარი - „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“;
- 2022 წლის 28-30 ოქტომბერი, ლოპოტა, სემინარი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე“;
- 2024 წლის 11-18 თებერვალი, ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი), ტრენინგი „ციფრული სახის მტკიცებულებები მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის“ და სხვა.

პედაგოგიურ საქმიანობა:

- ლექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალი - 2003-2004 წლები.

კანდიდატს არ აქვს პუბლიკაციები და ნაშრომები.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

„პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

კანდიდატის შესახებ მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.**

„დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა, არის პრინციპული, მიუკერძოებელი პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, არის - სამართლიანი. რეკომენდატორები კანდიდატს დამოუკიდებელ, სამართლიან პიროვნებად ახასიათებენ.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატთან საჯარო მოსმენისა და ასევე მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, შეუძლია ემოციების მართვა და იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. არის თავდაჭერილი და თავდაჯერებული. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის პირადი თვისებები სრულად შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით, როგორც კოლეგებში, ისე აპარატის თანამშრომლებსა და იურიდიულ წრეებში. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

„ფინანსური ვალდებულებების“ მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძალიან კარგი ცოდნა. კანდიდატის მიერ მიღებულ განაჩენებში სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად. აქვს ანალიზის კარგი უნარი.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -18 ქულით.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელებ მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული განაჩენებით, რეკომენდატორთა დახასიათებებითა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებით.

კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. მასთან გასაუბრების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მისი მსჯელობა დამაჯერებელი და არგუმენტირებულია. წარმოდგენილი განაჩენები დასაბუთებული და დამაჯერებელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -19 ქულით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მსჯელობა ლოგიკური, თანმიმდევრული და ანალიტიკურია. კანდიდატს აქვს წერის კარგი უნარი. შესამჩნევია მცირე პუნქტუალური შეცდომები.

შესაბამისად, „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 18 ქულით.

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. მისი საუბარი დამაჯერებელია, აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი. შეფასებისას ვიხელმძღვანელებ რეკომენდატორთა დახასიათებებითა და კანდიდატთან გამართული გასაუბრების შედეგებით.

შესაბამისად „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 14 ქულით.

გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატი შრომისმოყვარეა. კანდიდატს აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი. აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები, სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი. სასამართლო დარბაზში მისი ქცევა არის სათანადო.

შესაბამისად, „პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 15 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობს ხშირად; გააჩნია ინტერესი ცოდნის, ახალი გამოცდილებისა და უნარების შეძენისა. არის მოტივირებული და ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ არის შრომისმოყვარე და ღიაა სიახლეების მიმართ.

შესაბამისად, „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 4 ქულით.

კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში - 2003-2004 წლები. ის აქტიურადაა ჩართული მართლმსაჯულების

საკითხებზე სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში; იჩენს ინიციატივას და აყენებს ახალ იდეებსა და წინადადებებს.

შესაბამისად, „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 4 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 92 ქულას.

ხელმოწერა



თარიღი:

09.12.2024